სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის

საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და

სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2015 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის

საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და

სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზ. ნიკოლაიშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2015 წელი

შემადგენლობა

ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII.უსაფრთხოების ტექნიკა

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ - „სადემონტაჟო სქემები“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

ძველი ფლიგელის „ნულისქვეშა“ ნაწილის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს მომიჯნავედ განლაგებული

სადემონტაჟო ძველი ფლიგელის და სამსართულიანი სასწავლო ნაწილის (არასადემონტაჟო) საძირკვლების განლაგების დონის და ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. სამსართულიანი ნაწილის საძირკვლები აუცილებლად დაცული უნდა იქნას დაზიანებისგან.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძველი ფლიგელის (დამხმარე სასწავლო ნაგებობა), ავტოფარეხის და სანკვანძის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ეს შენობა-ნაგებობები ექვემდებარებიან დემონტაჟს.

სკოლის შენობის 1940 წელს აშენებული ძველი ფლიგელი არის მართკუთხედის ფორმის, გეგმაში ზომებით 14,5x21,5 მ. ფლიგელი დგას განივი მიმართულებით დახრილ რელიეფზე. ფლიგელი ფასადის მხრიდან ორსართულიანია, ანფასის მხრიდან -ერთსართულიანი. კედლები წითელი აგურით და ფლეთილი ქვითაა ნაგები. გადახურვები და სხვენი -ხის. სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით. ძველი ფლიგელის კედლები ცევთაგანცდილი და დაბზარულია. გადახურვები და სახურავი ნაწილობრივ ჩანგრეულია. ფლიგელის ხის კონსტრუქციები სრულადაა ამორტიზებული. ძველი ფლიგელის

აღდგენა არარენტაბელურია, ის ექვემდებარება დემონტაჟს. ძირითად შენობაში ძველ ფლიგელში გადასასვლელ ღიობებში მიზანშეწონილია მოეწყოს ფანჯრები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველი ფლიგელის დემონტაჟის შემდეგ ანფასის კედლის სანაცვლოდ (რომელიც ასრულებს მიწის შეკავების ფუნქციას) საჭირო გახდება 2 მ სიმაღლის საყრდენი კედლის მოწყობა.

ავტოფარეხი გეგმაში არის მართკუთხედის ფორმის -ბეტონის წვრილი ბლოკების. დახურვა -ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით. ნაგებობის კედლები ცვეთაგანცდილი და დაბზარულია. ფილების არმატურა კოროზირებულია. ავტოფარეხის ნაგებობა ექვემდებარება დემონტაჟს.

სკოლის ძველი სანკვანძი არის გეგმაში 6,8x5,7 მ. მზიდი კედლები - თეთრი აგურისგან. დახურვა- ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით. სრულად ამორტიზებული სანკვანძის ნაგებობა სადემონტაჟოა.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1)დროებითი ღობის მოწყობა გოსტ 23407-78-ის თანახმად.
2)დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.
3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.
4)მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.
5)სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.
6) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება

ძირითად პერიოდში ხორციელდება სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და სანკვანძის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

ა) ძველი ფლიგელის:

Iეტაპი -სახურავის დემონტაჟი

IIეტაპი- II სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - I სართულის დემონტაჟი (ანფასის კედლის გარდა)

IVეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი (ანფასის კედლის საძირკვლების გარდა)

ბ) ავტოფარეხის და სანკვანძის:

Iეტაპი -სახურავის დემონტაჟი

IIეტაპი- I სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი

ძველი ფლიგელის ანფასის კედლის და მისი საძირკვლების დემონტაჟი განხორციელდება ახალი საყრდენი კედლის აშენების შემდეგ (მიწის შეკავების მიზნით).

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

თითოეულ სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების,კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)გადახურვის კონსტრუქციების (ხე,ფილა) და კიბის დემონტაჟი

გ)აგურის მზიდი კედლების,ზღუდარების და ანტისეისმური სარტყელის დემონტაჟი.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“ შენობის სართულების მიხედვით, ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტიხრების,კარებების,ფანჯრების,სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით,ელემენტური დაშლით.

აგურის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1)ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის კედლების და ტიხრების დემონტაჟი

2)გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი აგურის კედლების და ტიხრების დემონტაჟი.

ძველი ფლიგელის შენობის II სართულზე აკრძალულია კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (გადახურვის ქვედა კონსტრუქციების შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად).

საძირკვლების მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.
გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწით,ტვირთამწეობით 16ტნ.

გადახურვის ფილების დემონტაჟი (ავტოფარეხის) ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

1)ხდება გადახურვის ფილების პირაპირებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით,სანგრევი ჩაქუჩით.

2)ხდება ფილის დაჭერა ამწით ბაგირჩამჭიდების მეშვეობით.

3)სარტყლის არმატურის კარკასის ჩაჭრის შემდეგ განთავისუფლებული კონსტრუქცია საავტომობილო ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება სასაწყობო ადგილზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

სანკვანძის ღრუტანიანი გადახურვის ფილების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე პნევმატური სანგრევი ჩაქუჩებით

მონგრევის და მთლიანი დაშლის გზით. ხელით ხორციელდება ასევე კედლების და საძირკვლების სადემონტაჟო სამუშაოები (პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების საშუალებით).

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0,25$მ^3$. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები,დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

ძველი ფლიგელის და ავტოფარეხის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი;აგურის კედლების და ტიხრების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი;მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი;ვარგისი მასალების ჩამოღება;სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება საავტომობილო ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

ძველი ფლიგელის და ავტოფარეხის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარე კონტურის გასწვრივ გარედან, მიბმით 5,0 მეტრზე. (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“.

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ,ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სკოლის შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,25მ^3-1ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
4. ავტოთვითმცლელები-3ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-3ცალი
6. ავტოდამტვირთავი-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-2ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-200მ^2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით,ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო ფლიგელის შენობის კონტურიდან შეადგენს 5,0მ-ს, ავტოფარეხის და სანკვანძის შენობის კონტურიდან -3,0 მ-ს.

დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან ადგილზე უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

სკოლის შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონაში.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

სადემონტაჟო გენგეგმა მ 1:500



შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-1“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზ „მო-2“-თან ერთად.
2. წინამდებარე სამშენებლო გენგეგმა დამუშავებულია სკოლის სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისათვის.
3. სკოლის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის (ტვირთამწეობით 16 ტნ) დახმარებით, სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარეთა მხრიდან, კონტურის გასწვრივ, მიბმით შენობასთან 5 მეტრზე.
4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები მოცემულია განმარტებით ბარათში.
5. დემონტაჟის სახიფათო ზონების საზღვრები დაზუსტდეს ადგილზე.
6. სახიფათო ზონის დროებითი მავრთულბადის ღობით შემოფარგვლის საკითხი დაზუსტდეს ადგილზე.
7. სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური რიბობრიობა მოცემულია სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმაში.
8. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვ-ნების შესაბამისად.
9. სანკვანძის დახურვის ფილების დემონტაჟი ხორციელდება ადგილზე მათი ენევმატური სანგრევი ჩაქუჩებით მთლიანად მონგრევის გზით.

პირობითი აღნიშვნები:

- სკოლის სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები
- არასადემონტაჟო შენობა-ნაგებობები
- ტერიტორიის საკადასტრო საზღვარი (ღობე)
- ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი შენობა-ნაგებობა
- საავტომობილო ამწე
- ამწის სვლის ღერძი
- ამწის კიდურა დგომი
- არსებული გზა
- დროებითი ღობე
- სახიფათო ზონის საზღვარი

დასახელება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი		სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მ. ალექსიძის I. შენობა-ნაგებობა №1. II სართული თბილისი საქართველო 2600 ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge	ნახაზის დასახელება სადემონტაჟო გენგეგმა	არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზურაბ ნიკოლაიშვილი შესრულა ტარიელ სტურუა
			ნახაზის სტატუსი ტექნიკური დოკუმენტაცია სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	მასშტაბი 1:500 ნახაზი „მო-1“ ფურც. №1 სულ ფურც. 2 სტატუსი რევიზია

სადემონტაჟო სქემა მ 1:200
(ძველი ფლიგელი)



სადემონტაჟო სქემა მ 1:200
(ავტოფარეხი)



შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-2“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზ „მო-1“-თან ერთად.
2. სადემონტაჟო სქემები დამუშავებულია სკოლის სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ტიპიური პროცესისათვის.
3. ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე ადგილზე უნდა დაზუსტდეს თითოეული სადემონტაჟო ანაკრები კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობა, წონა, ისრის შვერისა და კაკვის აწევის საჭირო მაქსიმალური სიმაღლეები.
4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები მოცემულია განმარტებით ბარათში.
5. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვ-ნების შესაბამისად.
6. დემონტაჟის სახიფათო ზონების საზღვრები და დროებითი ღობის მოწყობა დაზუსტდეს ადგილზე, უშუალოდ სამუშაოთა წარმოების დაწყებამდე.

დასახელება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი		სსიპ **საბანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო** მ. ალექსიძის I. შენობა-ნაგებობა №I. II სართული თბილისი საქართველო 2600 ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge	ნახაზის დასახელება **სადემონტაჟო სქემები**	არქიტექტურის სამსახურის უფროსი **ზურაბ ნიკოლაიშვილი** შესრულა ტარიელ სტურუა
			ნახაზის სტატუსი **ტექნიკური დოკუმენტაცია** **სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი**	მასშტაბი 1:200
				ნახაზი „მო-2“ ფურც. №2 სულ ფურც. 2 სტატუსი რევიზია

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის საჯარო სკოლის ძველი ფლიგელის, ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა- 3 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
	I.მოსამზადებელი სამუშაოები				
1	დროებითი ღობის მოწყობა; დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა	0.5			
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა; გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების მოწყობა	0.5			
3	შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან. მტვრისა და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებები	0.5			
	II.სადემონტაჟო სამუშაოები ძველი ფლიგელის:				
4	სახურავის დემონტაჟი	0.5			
5	II სართულის დემონტაჟი	0.8			
6	I სართულის დემონტაჟი (ანფასის კედლის გარდა)	0.8			
7	საძირკვლების დემონტაჟი (ანფასის კედლის საძირკვლების გარდა)	0.5			
8	ავტოფარეხის და სანკვანძის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი	1.0	ავტოფარეხი		სანკვანძი
9	მეორადი გამოყენების ელემენტების გატანა მოედნიდან	2.0			
10	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	2.0			